პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 25 (19766) ხუთშაბათი, 29 იანვარი, 1987 წელი ◆ ფასი 3 კაპ.

გუშინ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება „გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ", მთლიანად მოიწონა მასში ჩამოყალიბებული პოლიტიკური და პრაქტიკული დასკვნები და მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელიც დღეს ქვეყნდება პრესაში.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1987 წლის 28 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე პვლავ განიხილავდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას „გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ".

კამათში მონაწილეობდნენ: ამხანაგები ა. ა. გრომიკო — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ვ. ს. კოსტინი — კემეროვოს ოლქის პროკოპიევსკის ქვანახშირის მოკოვების საწარმოო გაერთიანების „ზიმინკას" შახტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, გ. ვ. კოლბინი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ს. ი. მანიკინი — სკკპ ომსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ა. იაგოდინი — სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, თ. ვ. პოპოვი — სკკპ ალტაის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ს. სოლომენცევი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, ვ. პ. ტიხომიროვი — მოსკოვის ვლადიმერ ილიას ძის სახელობის ელექტრომექანიკური ქარხნის ხარატი, ა. თ. პონომარიოვი — სკკპ ბელგოროდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. მ. ველიჩკო — სსრ კავშირის ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის მინისტრი, ჯ. ი. პატიაშვილი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ა. ულიანოვი — რუსეთის ფედერაციის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, დ. კ. მოტორნი — უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის ბელოზერსკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ს. ლ. სოკოლოვი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, ი. ა. კვიცინსკი — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, თ. ტ. მორგუნი — უკრაინის კომპარტიის პოლტავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, პ. პ. გრიშკიავიჩუსი — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. კ. მესიაცი — სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ბ. უსმანხოჯაევი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. დოლგიხი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ა. მ. მასალიევი — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. სიტნიკოვი — სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმმა განხილული საკითხის გამო მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

პლენუმმა მიზანშეწონილად ცნო მოიწოდოს როგორც საფუძველი სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის პროექტი, ამასთან გაითვალისწინა შემდგომში გამოიტანოს იგი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ამხ. ნ. ნ. სლიუნკოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ნ. იაკოვლევი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

პლენუმმა ამხ. ა. ი. ლუკიანოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

მიღებულია გადაწყვეტილება განთავისუფლდეს ამხ. დ. ა. კუნაევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის გამო.

პლენუმმა ამხ. მ. ვ. ზიმიანინი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მოიხმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება „გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ", მთლიანად იწონებს პოლიტიკურ და პრაქტიკულ დასკვნებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს რომ გამოიტანა საბჭოთა საზოგადოების იმ პერიოდის სიტუაციის ანალიზის საფუძველზე, რომელიც წინ უძღოდა ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმს, გარდაქმნის მიმდინარეობისა და პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების პირველი შედეგების პრინციპულ შეფასებას, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამედროვე საკადრო პოლიტიკის ამოცანებს, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ჩამოაყალიბა და უნდა გადაწყვიტოს ყველა პარტიულმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ.

1.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს: ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ განვლილმა დრომ დაადასტურა, რომ სწორი და უაღრესად საჭიროა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის თვისებრივი გარდაქმნისათვის ჩვენი პარტიის მიერ შემუშავებული სტრატეგიული კურსი, რომელსაც მხარს უჭერს საბჭოთა ხალხი.

დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ თითქმის 70 წლის განმავლობაში სოციალისტური მშენებლობის გზაზე საბჭოთა ხალხის მიღწევები უდიდესი და უდავოა. მაგრამ ამ წარმატებებმა არ უნდა შენიღბოს ის ფაქტი, რომ 70-80-იანი წლების მიჯნაზე ქვეყანამ შეანელა წინსვლის ტემპი. ეკონომიკაში, სოციალურ და სულიერ სფეროებში გროვდებოდა სიძნელეები და გადასაჭრელი პრობლემები, გაჩნდა უძრაობისა და სოციალიზმისათვის უცხო სხვა მოვლენები. პარტიის, მისი კადრების უდიდესი მუშაობის მიუხედავად, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, ქვეყნის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლეს დროულად და მთლიანად შეეფასებინათ ნეგატიური ტენდენციების ზრდის საშიშროება, შეეშუშავებინათ მათი დაძლევის უსტვი გეზი. მომწიფებული სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაზე უარყოფით გავლენას ახდენდა შემოქმედებითი აზრის განვითარებისადმი, განვითარებადი სოციალიზმის მამოძრავებელი ძალებისა და წინააღმდეგობების დიალექტიკის კვლევისადმი ყურადღების შენელება. სერიოზული ნაკლოვანებანი დაგროვდა სოციალისტური დემოკრატიის ინსტიტუტების ფუნქციონირებაში, დაგეგმვის პრაქტიკაში, მართვის სტილსა და მეთოდებში. ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ შეინარჩუნა პრინციპული პოზიციები, სათანადო ყურადღებას ვერ უთმობდნენ პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპებისა და ნორმების მკაცრად დაცვას, არ ეწეოდნენ მტკიცე ბრძოლას ნეგატიური მოვლენების, დისციპლინის შესუსტების, ლოთობის გავრცელების, დაგაცებების, მექრთამეობის წინააღმდეგ. ყოველთვის ვერ ახერხებდნენ საკადრისი პასუხი გაეცათ უწყებრიობისათვის, კუთხურობისათვის და ნაციონალისტური გამოვლინებებისათვის.

პლენუმი აღნიშნავს იმის უაღრესად დიდ მნიშვნელობას, რომ ამ ვითარებაში პარტიას ეყო ძალა და ვაჟკაცობა დასდგომოდა გარდაქმნის კურსს, სათავეში ჩასდგომოდა მას, მოეწყო თავისი ხასიათით რევოლუციური მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს უძრაობის მოვლენების მტკიცე დაძლევას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საიმედო და ქმედითი მექანიზმის შექმნას. სხვა გზა, გარდაქმნის გარდა, უბრალოდ არა გვაქვს, უკანაც ვერსად დავიხევთ.

გარდაქმნის საბოლოო მიზანია განვაახლოთ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარე, მივანიჭოთ სოციალიზმს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყველაზე თანამედროვე ფორმები, უფრო სრულად გამოვავლინოთ სოციალისტური წყობილების შემოქმედებითი პოტენციალი. სწვდება რა ცხოვრების სიღრმისეულ ფენებში, ვითარდება მთელი ფრონტით, გარდაქმნა სულ უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, ახალ თვისებრივ ნიშნებს იძენს.

საერთო პოლიტიკური შედეგი ის არის, რომ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარეობს შესამჩნევი ცვლილებები, ძალას იკრებს პოზიტიური ტენდენციები, იქმნება ახალი ზნეობრივი ატმოსფერო, სულ უფრო მეტად მკვიდრდება აქტიურად მოქმედ პრინციპებად ხაჯარობა, ალალმართლობა, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, საქმის გაუმჯობესებისადმი მისწრაფება. ხუთწლედის პირველ წელს სახალხო მეურნეობამ ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით გადააჭარბა გეგმით დასახულ მიჯნებს, შეიქმნა სერიოზული მარაგანკეთი შემდგომი წინსვლისათვის.

მაგრამ განხორციელებული ღონისძიებანი და გაწეული მუშაობა ყველგან როდი შეეხამება დაგროვილი პრობლემების მასშტაბსა და სიმწვავეს, როდი ხორციელდება სათანადო ეფექტიანობითა და შეტევითობით. მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, უწინარეს ყოვლისა ეფექტიანობისა და ხარისხის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დარგში, სოციალურ სფეროში გარდაქმნები ძალზე ძნელად მიმდინარეობს. ნელა ინერგება და თმობს თავის პოზიციებს მრავალი წლის მანძილზე ნებადართული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი მექანიზმი, ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ძალა და გავლენა კონსერვატიზმს, ინერციას, მოძველებულ აზროვნებას.

პლენუმს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და სამდივნოს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია გარდაქმნისათვის, მისი ყველა მიმართულებით ძალისხმევის გაზრდისათვის.

ის მუშაობის შემდგომი გააქტიურება. დღეს, საწყის ეტაპზე საჭიროა ვიდგეთ რეალიზმის, გაკეთებულის ობიექტური შეფასების პოზიციებზე, განვიხილავდეთ მიღწეულს არა მარტო წარსულთან შედარებით, არამედ, მთავარია, ვხელმძღვანელობდეთ პარტიის მიერ შემუშავებული და მოწონებული გეგმებით, ყოველი კომუნისტი, ყოველი მოქალაქე განეწყოს ნაზრდლივი, დაძაბული, თავდადებული მუშაობისათვის. ეს ერთადერთი სწორი პარტიული მიდგომაა. უკლებლივ ყველას ეფექტიანი, ნამუხანი მუშაობა გარდაქმნის წარმატების საწინდარია. თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, უფოყმანოდ უნდა ვაზარიციელებდეთ დასახულ კურსს, არ ვუშვებდეთ განსხვავებას მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მათ პრაქტიკულ შესრულებას შორის, უზრუნველვყოფდეთ მიმდინარე გარდაქმნების შეუქცევადობას.

გარდაქმნის წარმატებას გადამწყვეტწილად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად სწრაფად და ღრმად განიმსჭვალებიან ჩვენი კადრები რევოლუციური ცვლილებების საჭიროების გაგებით, რამდენად შეუპოვრად, ენერგიულად და კომპეტენტურად იმოქმედებენ ისინი. ამ მიზნებს ემსახურება პარტიის აქტიური, მიზანდასახული, ლენინურ პრინციპებზე დამყარებული, გარდაქმნის ამოცანების შესაბამისი საკადრო პოლიტიკა. იგი სრულად უნდა ასახავდეს თანამედროვე ვითარების თვისებურებებს, ახლანდელი მომენტის ხასიათსა და ამოცანებს, უზრუნველყოფდეს პარტიისა და სახელმწიფოს ყველა რგოლის, მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზმის დიდ ქმედუნარიანობას. საკადრო პოლიტიკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპროგრამო მიზნების რეალიზაციის გადამწყვეტი საშუალება და საიმედო ინსტრუმენტია, რომელიც პარტიას შესაძლებლობას აძლევს პოლიტიკურად ხელმძღვანელობდეს საზოგადოებას, სახავდეს და წარმატებით ატარებდეს ხალხის ინტერესების, სოციალიზმის განმტკიცებისა და განვითარების ამოცანების შესაბამის სტრატეგიულ გეზს.

2.

1. პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პირობაა სოციალიზმის, როგორც ახალი საზოგადოებრივი წყობილების უდიდეს შესაძლებლობათა სულ უფრო სრული გამოვლენა და გამოყენება, მისი ეკონომიკური საფუძვლების სრულყოფა, სოციალისტური დემოკრატიზმის ყოველმხრივი განვითარება, ხალხის თვითმმართველობის გაღრმავება. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება ნამდვილად მიეცეს გახაჭანი მშრომელთა მასების ცოცხალ შემოქმედებას, მათს რეალურ მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრების ყველა საკითხის გადაწყვეტაში, მთელი ძალით გამოვლინდეს ადამიანის ფაქტორი.

იწონებს რა ამ მიმართულებით პარტიის XXVII ყრილობის მითითებათა შესაბამისად გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს, პლენუმი საჭიროდ თვლის მაქსიმალურად გამოვიყენოთ სოციალისტური დემოკრატიის გაფართოების, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის განვითარების შესაძლებლობები, განვმსჭვალოთ პარტიული და სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა რეალური დემოკრატიული შინაარსით, უზრუნველვყოთ კადრების შერჩევისა და მათი მუშაობისადმი კონტროლზე მზრომელთა ზემოქმედების მნიშვნელოვანი გაძლიერების პირობები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები მთლიანად ასრულებდნენ საწესდებო მოვალეობას — აქტიურად მონაწილეობდნენ საკადრო პოლიტიკის განხორციელებაში.

2. პლენუმი უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს წარმოების სფეროში დემოკრატიის განვითარებას, შრომითი კოლექტივების ცხოვრებაში თვითმმართველობის თანამიმდევრულ დანერგვას, იხეთი პირობების შექმნას, რომლებიც თითოეულ მზრომელს ნამდვილად აგრძნობინებენ თავს საკუთარი საწარმოს ბატონ-პატრონად. ამას უნდა ისახავდეს მიზნად საწარმოებისა და გაერთიანებების შრომითი კოლექტივების საბჭოების შექმნა, მათთვის, აგრეთვე, კოლექტივების საერთო კრებებისათვის გადამწყვეტი უფლებამოსილების მინიჭება მრავალი საწარმოო, სოციალური და საკადრო საკითხის გადაწყვეტაში.

საჭიროდ იქნეს მიჩნეული საწარმოების, წარმოებების, საამქროების, განყოფილებების, უბნების, ფერმერების და რგოლების ხელმძღვანელების, ბრიგადირებისა და ოსტატების არჩევითობის შემოღება. გაფართოვდეს შერჩევის საკონკურსო სისტემის გამოყენებისა და ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების შეცვლის პრაქტიკა და განსაზღვრის ძალი პირობები.

ახალ პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს სწორი გაგება იმისა, რომ ხელმძღვანელი მუშაკების არჩევითობა შრომითს კოლექტივებში არა თუ არ ასუსტებს, პირიქით, განამტკიცებს კიდეც ერთმმართველობას, ზრდის ხელმძღვანელთა ავტორიტეტს და ამასთან ერთად აძლიერებს მათს პასუხისმგებლობას საქმისათვის, ქმნის ურთიერთმოქმედებელობისა და მომთხოვნელობის ატმოსფეროს ყოველ კოლექტივში. ერთმმართველობისა და უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებაში კოლექტივების მონაწილეობის ორგანული შეხამება აღრმავებს და ავითარებს დემოკრატიული ცენტრალიზმის, კოლექტივზე დაყრდნობით გეგმიანი ხელმძღვანელობის პრინციპს.

პლენუმს მიზანშეწონილად მიაჩნია მოიწონოს როგორც საფუძველი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი იმის გათვალისწინებით, რომ შემდგომში იგი გამოტანილ იქნეს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

3. უფრო სრულად უნდა ვიყენებდეთ მშრომელთა ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარების, ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მართვის დემოკრატიზაციის უართო შესაძლებლობებს, რომლებიც კოლმეურნეობებსა და მთლიანად სოციალისტურ კოოპერაციას აქვთ. საჭიროა უზრუნველვყოფდეთ კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების წესდებათა დებულებების

(დასასრული მე-2 გვ.).

ვიმუშაოთ შემოქმედებითად

რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნების, საწარმოების კოლექტივები, უწყება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები გულმოდგინედ ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ ძირითად დებულებებსა და ამოცანებს.

თბილისის საინსტრუმენტო ქარხანაში დილიდანვე შეიკრიბნენ მუშა-მოსამსახურეები, რათა ერთად განეხილათ და ემსჯელათ ამ საპრბოროტო საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება გარდაქმნასა და პარტიის საკადრო პოლიტიკას.

მოხსენებამ ბევრ რამეზე დაგვაფიქრა, — ამბობს ქარხნის პარტბიუროს მდივნის მოადგილე, ტექნოლოგი მერაბ კახიანი, — მასში ნათლად გამოიკვეთა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა ინიციატივას, შემოქმედებითს მუშაობას. როგორც მოხსენებაშია ნათქვამი, „უპირველესი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიის განვითარებას წარმოებაში, ნამდვილად თვითმმართველობითი საწყისების თანმიმდევრულ დანერგვას შრომითი კოლექტივების მუშაობაში". ესე იგი უნდა უზრუნველვყოთ მშრომელთა აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

— ჩვენი ქარხნის პროდუქცია, — ამბობს სპეციალური საჭრისების საამქროს უფროსი ნუგზარ მიქაძე, — საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მანქანათსაშენებელ ქარხანაში, აგრეთვე უცხოეთის 36 ქვეყანაში იგზავნება. დღეს, როგორც არასოდეს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ტექნიკურ განახლებას. საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას თითოეულ სამუშაო უბანზე. ყოველი წუთი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, სხვანაირად ვერ მივაღწევთ სასურველ შედეგს.

საუბარში ჩაერია მლესავი ჯონი რამიშვილი.

— ქარხნის კოლექტივმა, — თქვა მან, — 46 სახეობის ახალი საჭრისები აითვისა პროგრამული მართვის ჩარხებისათვის, წლიურს ამ პროდუქციას მრავალ საწარმოს მივაწვდით, მომავალი წლიდან გადავდივართ პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე, ამისათვის ქარხანაში მიმდინარეობს ტექნიკური განახლება, სპეციალისტების შერჩევა და მოზიდვა. გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ქარხანა ჯერ კიდევ განიცდის კვალიფიციური ზეინკალ-შემკეთებლების, ელექტრიკოსებისა და გამწყობების ნაკლებობას. ამ საკითხების მოგვარებას დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სურათზე: თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის სპეციალური საჭრისების საამქროს უფროსი ნუგზარ მიქაძე ესაუბრება მუშებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებზე.
ს. კილაძის ფოტო.

ბაიკონურის კოსმოდრომზე

ბაიკონურის კოსმოდრომზე ემზადებიან დედამიწისირგვლივ ორბიტაზე „სოიუზ ტმ-2" კოსმოსური ხომალდის გასაშვებად, რომელიც მორიგ ეკიპაჟს მიიყვანს „მირ" სადგურზე.

გასაფრენად ემზადებიან კოსმონავტები იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი. ამჟამად ისინი კოსმოდრომზე ამთავრებენ ვარჯიშს და გადიან სამედიცინო შემოწმებას. (საკდესი).

საქართველოს პროფკავშირების XVIII ყრილობის გახსნის შესახებ

საქართველოს პროფკავშირების XVIII ყრილობა გაიხსნება 1987 წლის 30 იანვარს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8).

დელეგატების რეგისტრაცია იწყრმოებს: 29 იანვარს — 9 საათიდან 20 საათამდე საქართველოს პროფსაბჭოს შენობაში (გრიბოედოვის 19); 30 იანვარს — დილის 8 საათიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შენობაში.

ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგი ტელეფონებით: 99-67-42, 99-56-43, 93-19-88.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ

(დასასრული)

მკაცრად დაცვას, შევიტანოთ მათში ცვლილებები, რომლებიც ხელს უწყობენ კოოპერატივების წევრთა აქტიურობის შემდგომ განვითარებას, მათი დაინტერესების ზრდას კოლექტიური შრომით და მისი რეალური შედეგებით კოოპერატივის თითოეული წევრისათვის.

რეკომენდაცია მიეცეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, შესაბამის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს განახორციელონ საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან უშუალოდ დაკავშირებული და მათი ინტერესების შესაბამისი ზოგი სხვა სფეროს ორგანიზაციის კოოპერაციული ფორმების ფართოდ გავრცელების ღონისძიებები.

4. საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის, საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო მიმართულებაა საბჭოთა საარჩევნო სისტემის სრულყოფა. საჭიროა საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისა და განხილვის პრაქტიკა გავთავისუფლოთ ფორმალიზმის ელემენტებისაგან, მივცეთ ამომრჩეველს შესაძლებლობა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება მეტი კანდიდატურისადმი, ეფექტიანად მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო პროცესში მის ყველა სტადიაზე.

5. პლენუმი მხარს უჭერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ ის საკითხის პრინციპულ დაყენებას, რომ უნდა გაფართოვდეს შინაპარტიული დემოკრატია, მოიძებნოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კონფერენციებისა და პლენუმების მუშაობის გამოცოცხლების, ყველა დონის არჩევითი პარტიული ორგანოების ფორმების მექანიზმის სრულყოფის ეფექტიანი გზები მისი შემდგომი დემოკრატიზაციის თვალსაზრისით.

6. პლენუმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების საქმიანობისადმი „ზემოდან“ და განსაკუთრებით „ქვემოდან“ კონტროლის გაძლიერებას, ლენინის იმ მოთხოვნის თანამიმდევრულ რეალიზაციას, რომ ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობა ღია იყოს ყველასათვის, მასების თვალწინ მიმდინარეობდეს. ამ მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იყოს შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობის წინაშე არჩეული და დანიშნული თანამდებობის პირების რეგულარული ანგარიშგება და მშრომელებს მიენიჭოთ უფლება შეაფასონ ხელმძღვანელთა საქმიანობა, მათ შორის დასვან საკითხი, რომ ის მუშაკები, რომლებიც ვერ ართმევენ თავს საკუთარ მოვალეობებს ან სახელს გაიტეხავენ, განთავისუფლდნენ თანამდებობიდან. უნდა შევქმნათ ხელმძღვანელი კადრების მუშაობისადმი კონტროლის ზუსტი სისტემა და ამისათვის გამოვიყენოთ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული კონფერენციები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტების პლენუმები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების საქმიანობა, ამასთან თანამიმდევრულად გავაფართოოთ დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით საკითხთა დაყენების პრაქტიკა.

მიზანშეწონილად მივიჩნიოთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა განახორციელონ ღონისძიებანი საწარმოებსა და ორგანიზაციებში შემოწმებებისა და ინსპექციების არსებული პრაქტიკის მოწესრიგებისათვის, ამასთან მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ახალი შემოწმებები ხელს უწყობდნენ საქმის და არ იყოს ფორმალიზმის გამოვლინება, რომელიც საქმეს აცდენს მრავალ ადამიანს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ნიადაგ მხედველობის არეში უნდა იქონიონ ხელმძღვანელი კადრების, სპეციალისტების, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატის მუშაკთა ატესტაცია, მიიჩნიონ იგი კადრების მუშაობისადმი კოლექტიური კონტროლის, მათი საქმიანი კვალიფიკაციის ზრდის სტიმულირების ქმედით ფორმად.

7. პლენუმი ავალებს ყველა პარტიულ კომიტეტსა და პარტორგანიზაციას განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საკადრო საქმის გაფართოება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკის განვითარება, სრულად გამოიყენონ ეს ნაცადი იარაღი, რათა აღზარდონ კადრები საკლოკავანებებისადმი შეურიგებლობის, მიღწეულით ჯანსაღი დაუკმაყოფილებლობის, სოციალისტური ზნეობის ნორმებიდან ყოველგვარი გადახრის აღმოფხვრის სულისკვეთებით. ყოველთვის უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ კრიტიკის მიმართ დამოკიდებულება კადრების პოლიტიკური სიმწიფის, ცვლილებებისათვის მათი მზაყოფნის, გარდაქმნის ნამდვილად განხორციელების უნარის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. პარტიაში არ უნდა იყვნენ პირები, რომლებსაც არ ეხებათ კრიტიკა, ისევე როგორც პირები, რომლებსაც არა აქვთ გაკრიტიკების უფლება, გადაკრით უნდა აღმოვფხვრათ კრიტიკის ჩახშობის ყოველი ფაქტი, ავრეთვე ცილისმწამებელთა ცდები ჩირქი მოსცხონ პატიოსან, საქმის ერთგულ მუშაკებს, გაუსწორონ პირადი ანგარიში, და ამისათვის მიმართონ ანონიმურ წერილებსა და სხვა უღირს მეთოდებს.

8. ითვალისწინებს რა, რომ ნამდვილი დემოკრატია არ არსებობს კანონგარეშე და კანონზე მაღლა, პლენუმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალი საკანონმდებლო აქტების შემუშავებასა და მიღებას, საბჭოთა სახელმწიფოს როლის გაძლიერებას, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპის მკაცრ დაცვას, საპროკურორო ზედამხედველობის გადაჭრით გაძლიერებას, საგამომძიებო ორგანოების მუშაობის, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების დაცვის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ყველა გზისა და საშუალების სრულყოფას. პარტია ხელმძღვანელობს იმით, რომ სოციალისტურ დემოკრატიას საერთო არა აქვს რა განუკითხაობასთან, უპასუხისმგებლობასთან, ანარქიასთან. იგი მოწოდებულია რეალურად ემსახურებოდეს ადამიანს, კოლექტივსა და საზოგადოებას, მშრომელთა ინიციატივის განვითარებას, სოციალისტური წყობილების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას, კანონიერებისა და სამართლიანობის, ჩვენს საზოგადოებაში ჯანსაღი ზნეობრივი ატმოსფეროს განმტკიცებას. უნდა გავაძლიეროთ ხელმძღვანელი კადრების, მთელი მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა.

9. პლენუმს საჭიროდ მიაჩნია იზრუნოს საბჭოთა დემოკრატიის, სოციალური ბაზის თანამიმდევრული გაფართოებისათვის, გარდაქმნის განხორციელებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თითოეული მოქალაქის, ვეტერანებისა და ახალგაზრდობის, მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელთა უფრო აქტიური მონაწილეობისათვის.

უნდა მივაღწიოთ, რომ ყველა უბანზე უფროს თაობათა გამოცდილი კადრების მხარდამხარ შრომობდნენ, გამოცდილებას იძენდნენ, იწრთობოდნენ და უფრო გაბედულად წინაურდებოდნენ ახალგაზრდა, პერსპექტიული მუშაკები. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან უნარიანად წარმართონ ეს ბუნებრივი პროცესი, მიიჩნიონ იგი ხელმძღვანელობის, ჩვენი პოლიტიკური კურსის მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფის, ჩამორჩენილობისა და უძრაობის დაძლევის აუცილებელ პირობად. საჭიროა, რომ ახალგაზრდობისადმი ნდობა, შრომის, სწავლის, ყოფის, დასვენების ორგანიზაციაში მისი დამოუკიდებლობის განვითარება ეხამებოდეს დახმარებას, შეცდომათა ამხანაგური კრიტიკას. ძირეულად უნდა გავუმჯობესოთ მუშაობა დასაწინაურებელი კადრების საიმედო რეზერვის მომზადებისათვის.

პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებში, ხელმძღვანელ სამუშაოზე უფრო მეტად უნდა გავუწიოთ რეკომენდაცია ღირსეულ მუშებსა და კოლმეურნეებს. ყოველმხრივ უნდა წავახალისოთ მათი სწავლა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, გულდასმით უნდა შევარჩიოთ და აღვზარდოთ მათგან მომავალი ხელმძღვანელები. უფრო აქტიურად უნდა დავაწინაურო ოთ პასუხსაგებ პოსტებზე კარგი ორგანიზატორები უპარტიო ამხანაგებიდან. პლენუმს მიაჩნია, რომ პრინციპულად მნიშვნელოვანია ქალების დაწინაურება ხელმძღვანელ პოსტზე მართვის ყველა დონეზე და საზოგადოების ცხოველქმედების ყველა სფეროში.

10. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ კადრებთან მუშაობაში მკაცრად და თანამიმდევრულად უნდა ხორციელდებოდეს ლენინური ეროვნული პოლიტიკის მოთხოვნები, საჭიროა ქვეყნის სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების მზარდი ინტერნაციონალიზაციის პროცესების ყოველმხრივი გათვალისწინება. ყველაფერში, რაც ეხება ეროვნული ურთიერთობების განვითარებას, უნდა გამოვიჩინოთ განსაკუთრებული გულისხმიერება და წინდახედულება, პარტიული პრინციპულობა, ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის ხალხების მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებისათვის, გადაჭრით დავძლიოთ ნეგატიური მოვლენები ამ სფეროში, უკომპრომისოდ უკუვაგდოთ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, სიონიზმისა და ანტისემიტიზმის, კუთხურობის, სხვისი მოიმედოობის, ეროვნული შეზღუდულობისა და ყოყოჩობის ყოველგვარი გამოვლინება, დავუპირისპიროთ მათ თანამიმდევრული, მტკიცე ინტერნაციონალიზმი.

უზრუნველვყოთ პარტიულ, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების სათანადო წარმომადგენლობა, მივაღწიოთ, რომ ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა უფრო სრულად ასახავდეს მოსახლეობის ეროვნულ სტრუქტურას. კადრების ინტერნაციონალური წრთობის გაძლიერების, პარტიული და სახელმწიფო მუშაობის გამოცდილებით მათი გამდიდრების მიზნით საჭიროა გავაქტიუროთ კადრების გაცვლა რესპუბლიკებსა და რეგიონებს შორის, ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებს შორის.

3.

1. პლენუმი იწონებს პარტიული პრინციპების წინად დაშვებული დარღვევების, საკადრო პოლიტიკის განხორციელებაში გამრუდების შედეგების დაძლევის ღონისძიებებს, რომლებიც განახორციელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სამდივნომ. ხელმძღვანელობისათვის ახალი ძალების შემატება, იმ ხელმძღვანელთა შეცვლა, რომლებმაც ახალი ამოცანების გადაწყვეტა ვერ შეძლეს, რომლებმაც უღირსი საქციელით თავი შეირცხვინეს, გარდაქმნის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი და უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სერიოზულად უნდა განვაახლოთ საკადრო პოლიტიკა, გავხადოთ იგი ნამდვილად თანამედროვე, რომელიც განუურელად იქნება დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარებისათვის ბრძოლის ძირითად მიმართულებებთან, მტკიცედ ვიღაღაროთ, რომ პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი მუშაობის ყოველ რგოლს მეთაურობდნენ პარტიისა და ხალხის ერთგული ადამიანები, ნამდვილი ნოვატორები, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული ჩვენს საზოგადოებაში თვისებრივი ცვლილებების საჭიროება, რომლებსაც შესწევთ უნარი დაამსხვრიონ ინერცია და რუტინა, შემოქმედებითად განახორციელონ პარტიის ბეჭი.

წარსულის გაკვეთილების ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტს პრინციპულად საჭიროდ მიაჩნია:

საკადრო პოლიტიკის ლენინური გაგების შესაბამისად, დროულად გადავწყვეტოთ ყველა დონეზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და მთავრობათ დაწყებული, მომწიფებული საკადრო საკითხები, უზრუნველვყოთ ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობის მუდმივი შევსება ახალი ძალებით, რათა არ წყდებოდეს განახლების პროცესი, არ იჩქეფოდეს მონაცვლეობა;

გავაძლიეროთ კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიული მომზადება, იდეურ-ზნეობრივი წრთობა, ჩამოვუყალიბოთ მათ მაღალი პოლიტიკური და ზნეობრივი კულტურა, დაჩქარებისათვის გამიზნული პარტიის კურსის არსის ღრმა გაგება და უნარი, რომ ყოველ უბანზე მეფრიდად დაუკავშირონ საპრაგმატო მიზნები ყოველდღიურ ორგანიზატორულ, სამეურნეო და აღმზრდელობითს მუშაობას, შეუთავსონ ეფექტიანი მიდგომის გამოყენებები პარტიული კომიტეტების საქმიანობაში და კადრების შერჩევაში;

უზრუნველვყოთ ყურადღებიანი, გაარჩეული, პრინციპული დამოკიდებულება კადრებისადმი მათი შერჩევისა და შეცვლის დროს, ამასთან ვიხელმძღვანელოთ ყველა შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ საქმის ინტერესებით. აქ დაუშვებელია როგორც უძრაობა, ისე მუშაკების უსაფუძვლო, ნაჩქარევი ცვლა, ადმინისტრირება, სუბიექტივიზმი, დამოუკიდებელი აზროვნებისა და ინიციატივის შეუწყნარებლობა;

დღენიადაგ გავაძლიეროთ კადრების პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, შევქმნათ ყველგან ურთიერთმომთხოვნელობის, მტკიცე დისციპლინისა და ორგანიზებულობის ვითარება, საბოლოოდ აღვკვეთოთ მოშვებულობის გამოვლინებები. ნამდვილ ზრუნვას კადრებისათვის არაფერი აქვს საერთო გულარხეინობასთან და ყოველისმიმტევებლობასთან, ქველმოქმედებასთან და მლიქვნელობათან;

მკაცრად დავიცვათ და განვავითაროთ საკადრო პოლიტიკაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, შევქმნათ საჭირო პოლიტიკური და სამართლებრივი წანამძღვრები საიმისოდ, რომ არჩევითი ორგანოები პარტიისა და ხელმძღვანელობაში, კომკავშირსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში სრულად იყენებდნენ მათთვის მინიჭებულ უფლებებს, საქმიან კონტროლს უწევდნენ აღმასრულებელი ორგანოებისა და აპარატის მუშაობას;

დავამკვიდროთ არჩევითს ორგანოებში ნამდვილი კოლეგიალურობის, თანასწორობის, საკითხების თავისუფალი და პრინციპული განხილვის ვითარება. რა მდგომარეობაც უნდა ეკავოს ხელმძღვანელს, იგი არ აღამაღლებს მას არჩევითი ორგანოს სხვა წევრებზე, არამედ მხოლოდ ხაზს უსვამს უფრო მეტ პასუხისმგებლობას პარტიული ნორმებისა და პრინციპების უმკაცრესი დაცვისათვის;

განვახორციელოთ პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის ორგანოთა საქმიანობის ძირეული გაუმჯობესების პრაქტიკული ღონისძიებანი, ამასთან გავაძლიეროთ მათი ზემოქმედება დისციპლინის განმტკიცებაზე, ყოველგვარი დარღვევებისა და ბორტყმევიდების აღმოფხვრაზე, აპარატის მუშაობაში სიზუსტის გადიდებაზე.

2. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზს უსვამს, რომ კადრების, მათი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი პოზიციის შეფასების გადამწყვეტი კრიტერიუმია დამოკიდებულება გარდაქმნისადმი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანებისადმი, მათი განხორციელებისათვის გამიზნული რეალური საქმეები. პარტია დაინაურებს და მხარს დაუჭერს იმ მუშაკებს, რომლებიც არა მარტო იზიარებენ გარდაქმნის კურსს, არამედ ამასთანავე აქტიურად, შემოქმედებითად ჩაებნენ განახლების პროცესში, მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ახმარენ საერთო საქმეს, აღწევენ წარმატებას. ვისაც არ ძალუძს მინდობილ უბანზე საქმის მდგომარეობის გაუმჯობესება, ვინც გულგრილი რჩება მიმდინარე ცვლილებებისადმი, ებღაუჭება ძველს, იმას უფლება არა აქვს ეკავოს ხელმძღვანელი პოსტი.

3. გარდაქმნის პროცესი განუყოფელად უკავშირდება სოციალისტური საზოგადოების ზნეობრივი საფუძვლების, საბჭოთა ცხოვრების წესის განმტკიცებას. ღრმა იდეური მრწამსი, უდიდესი პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობა ქვეყნის ბედ-იღბლისათვის, ბოლშევიზმის ლენინური ეთიკის განუხრელი დაცვა — ეს მოთხოვნები თანამედროვე ვითარებაში განსაკუთრებული სიმწვავით დგას მთელი ჩვენი კადრების წინაშე. ისინი უნდა წარმოადგენდნენ იდეური სიმტკიცის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვის, სიტყვის ერთგულების, პატიოსნების, წესიერების, მოუხყოდველობის, თავმდაბლობის, სოციალისტური მორალის ნორმებისაგან ყოველგვარი გადახრისადმი შეურიგებლობის ნიმუშს.

საჭიროა განუხრელად ვიშორებდეთ თავიდან შემაფუებლებს, კარიერისტებს, მეკონიუნქტურეებს, იმათ, ვინც სახელს უტეხს პარტიის წევრის, საბჭოთა ხელმძღვანელის წოდებას მიმხვეტელობით, ქონების დაგროვებით, ლოთობით, მორალური უწმინდურობით. მტკიცედ უნდა ვებრძოლოთ პროტექციონიზმს, შინაურულობას, ნათესაობას, თვისტომობას, ან პირად ერთგულების ნიშნებით მუშაკთა დაწინაურებას. პარტიული წესდებისა და საბჭოთა კანონების მთელი სიმკაცრით უნდა მოვკითხავდეთ იმათ, ვინც ცდილობს ხელი დააფაროს თანამეგობრებს, დამტაცებლებს, მექრთამეებს. სააკაროაზე უნდა გამოვიყვანოთ და საზოგადოებრივად გავკიცხოთ ისინი, ვინც შეგნებულად უგულებელყოფს ჩვენს პრინციპებს. ხელმძღვანელის სპეკაკი და პატიოსანი სახისათვის ზრუნვა ყოველი პარტიული ორგანიზაციის უპირველესი მოვალეობაა.

პლენუმი პარტიულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს გაბედულად აღკვეთონ ყოველგვარი ცდები, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს ისინი, რომ პასუხისმგებლობა აარიდონ საქმის ჩამშლელ ან ჩირქმოცხესულ ხელმძღვანელებს. ყველგან უნდა მოვღოს ბოლო ჯერ კიდევ არსებულ პრაქტიკას, როცა ხელმძღვანელი მუშაკების გადაცდომების საკითხები ირჩევა ვიწრო წრეში იჩქმალება თანამდებობიდან ამა თუ იმ პასუხისმგებელი პირის განთავისუფლების მიზეზები. განუხრელად უნდა ვიცავდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების იმ დებულებას, რომ ჩადენილი გადაცდომისათვის კომუნისტი უწინარეს ყოვლისა თავისი პარტიული ორგანიზაციის წინაშე აგებდეს პასუხს. პარტიისა და სახელმწიფოს კანონი ყველასათვის ერთია და დისციპლინა ყველასათვის ერთია.

4. გარდაქმნის გაღრმავება უწინარეს ყოვლისა ნიშნავს თვით პარტიის, მისი კადრების მუშაობის გარდაქმნას ყველა დონეზე — ცენტრალური კომიტეტიდან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებამდე. ყველა რგოლში პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპებისა და ნორმების თანამიმდევრულ გატარებას. ეს მიაჩნია ცენტრალურ კომიტეტს თანამედროვე საკადრო პოლიტიკის არსად და მთავარ ამოცანად.

უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმით, რომ დღეს პარტიის, მისი კომიტეტების წარმმართველი, მაკოორდინირებელი როლი უნდა ვლინდებოდეს იმით, რომ დაეხმაროს ყველა სფეროში მომუშავე კადრებს შეიგნონ მომენტის ამოცანები და მკაცრად მომკითხონ დაკისრებული საქმისათვის. საბოლოოდ უნდა უკუვაგდოთ პარტიული ორგანოებისათვის შეუფერებელი მმართველობითი ფუნქციები, სხვების მაგივრად საკითხების გადაწყვეტის, საბჭოთა ორგანოების, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაგივრობის გაწევის მისწრაფება. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების მუშაობის გარდაქმნას, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ პარტიის კავშირს მის პირველად რგოლებთან, შრომითს კოლექტივებთან.

მტკიცედ ვიღვაწოთ იმისათვის, რომ ყოველი პარტიული კომიტეტი, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანო, იყოს ახალი იდეების ნამდვილი გენერატორი და გამტარებელი, მთელი ძალების ურთიერთმომქმედების ორგანიზატორი, შეეძლოს სწორად ანაწილებდეს მათ, ჭვრეტდეს და ითვალისწინებდეს მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგებს. პარტიული კომიტეტების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ზრუნვა ადამიანებისათვის, მისი შრომის, ყოფისა და დასვენების პირობებისათვის, ადამიანთა შეგნების ჩამოყალიბება. პარტიული ხელმძღვანელობის სტილში ნამდვილად უნდა გადავტანოთ ძირითადი ყურადღება მასებში ცოცხალ მუშაობაზე, მიღებული გადაწყვეტილებებისა და დასახული გეგმების პრაქტიკული შესრულების ორგანიზაციაზე, სახალხო ინიციატივისათვის მხარდაჭერაზე, ნოვატორული ძიების წახალისებაზე.

გარდაქმნისათვის, დაჩქარებისათვის ბრძოლის ძირითადი რგოლია პირველადი პარტიული ორგანიზაციები, სადაც პარტიის პოლიტიკა ხორციელდება მილიონობით კომუნისტის ძალისხმევით, უკავშირდება მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებას, საქმეებსა და საზრუნავს. პირველადი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური განმტკიცება, მათი ბრძოლისუნარიანობისა და აქტიურობის გაძლიერება პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

პარტიულ მუშაკებს უნდა ჩავუნერგოთ საქმისადმი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი მიდგომა, უნარი, იმუშაონ გაღრმავებული დემოკრატიის, ადამიანების მზარდი საზოგადოებრივი და შრომითი აქტიურობის პირობებში, დაარწმუნონ და გაიყოლიონ ისინი, შეურიგებლობა უძრაობის, ბიუროკრატიზმის, კუთხურობის, უწყებრიობის გამოვლინებებისადმი. პლენუმი იწონებს პარტიულ-პოლიტიკური განათლების სისტემის კომპლექსური გარდაქმნისა, ცხოვრებასთან, თანამედროვე ამოცანებთან მისი უმჭიდროესი კავშირის უზრუნველყოფად პოლიტბიუროს მიერ დასახული ღონისძიებებს და ავალებს პარტიულ კომიტეტებს გააძლიერონ საქმიანი დახმარება პარტიული ორგანიზაციებისა და პრომპაგანდის საშუალებებისადმი, გააუჯრედონ მასების შუაგულში მოქმედი ძირეული პარტიული აქტივის სწავლებისა და ინფორმირების ორგანიზაცია.

5. გაითვალისწინა რა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნული პარტიის სტრატეგიული კურსის რეალიზაციის გამო უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება ეკონომიკის სფეროში დასაქმებულ კადრებს, პლენუმი ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა დავაწინაუროთ და აღვზარდოთ საწარმოებისა და გაერთიანებების ნამდვილად კომპეტენტური, გეგმიანი ხელმძღვანელები, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანებთან მუშაობა და შესწევთ უნარი მეურნეობრიობის ახალ პირობებში უზრუნველყონ ტექნიკურ-ტექნოლოგიური მეცნიერული-ტექნიკური პროგრესის მოწინავე მიჯნების მიღწევა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, წარმოების დიდი ეფექტიანობა. მათ უნდა გავუწიოთ დახმარება, რათა უსწრაფესად აითვისონ ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდები, რომლებიც ეფუძნება სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებას, ფართო დამოუკიდებლობასა და გაერთიანებებისა და საწარმოების მუშაობის შედეგებისათვის გადიდებულ პასუხისმგებლობას, საგარეოეკონომიკური საქმიანობისადმი ახალ მიდგომას. დიდი მნიშვნელობის საქმეა სახელმწიფო მიღების დანერგვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს გარდაქმნაში, დაჩქარებისათვის, ჩვენი საზოგადოების ყველა რგოლში მტკიცე დისციპლინის, ზნეობრივი სიწმინდის განმტკიცებისათვის ბრძოლაში მუშაობა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, ყველა მშრომელის აქტიურ ჩაბმას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ გარდაქმნის პირობებში ყველა მშრომელს მუშაობის ყოველ უბანზე მოეთხოვება დაკისრებული საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობა, პროფესიული ოსტატობისა და შრომის კულტურის მუდმივი ამაღლება, თანამედროვე მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დაუფლება, ინიციატივა და შემოქმედება.

6. პლენუმს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია სახალხო მეურნეობაში ინტელექტუალური, საკადრო პოტენციალის ზარისხისა და შემოქმედებითი უკუგების არსებითი გადიდება, სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესება, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის მუშაობის გარდაქმნა ზოგადსაგანმანათლებელო და პროფესიულ-ტექნიკური სკოლის რეფორმის თანამიმდევრულ განხორციელებას, ქვეყანაში უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემის შექმნა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაითმოს სახალხო მეურნეობის პრიორიტეტულად განვითარებადი დარგების, ახლად შექმნილი წარმოებების კადრებით უპირატეს უზრუნველყოფას, იმ სპეციალისტებისა და მუშების მომზადებას, რომლებიც უშვებენ და ეწესლოატაციას უწევენ ახალ ტექნიკას.

7. იმის გათვალისწინებით, რომ ტექნიკისა და ტექნოლოგიის დაჩქარებული განვითარება საჭიროებს ფუნდამენტური მეცნიერული იდეებისა და გამოყენებითი ნაშუშევრების არსენალის მზარდ შევსებას, სახალხო მეურნეობის საჭიროებებისაკენ მეცნიერების მკვეთრ შემობრუნებას, პლენუმს უალრესად საჭიროდ მიაჩნია გაიზარდოს აკადემიური, დარგობრივი და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო კადრების უკუგება იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც უკავშირდება წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას, ეკონომიკის ეფექტიანობის გადიდებას, გაძლიერდეს წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაცია. მეტი ყურადღება მიექცეს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების და დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების მუშაობას. განხორციელდეს გადაუდებელი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სამეცნიერო კადრების მომზადების სრულყოფა, მათი შემადგენლობის შევსება ნიჭიერი ახალგაზრდებით, მეცნიერთა ნაყოფიერი მუშაობის, მეცნიერების ტექნიკური აღჭურვის გაუმჯობესების, მისი საექსპერიმენტო ბაზის განმტკიცების პირობების შექმნა.

8. თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით უნდა დავაჩქაროთ საგეგმო, საფინანსო და სხვა საერთო-ეკონომიკური ორგანოების, ყველა სამინისტროსა და უწყების მუშაობის სტრუქტურის, სტილის, ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნა, უფრო ზუსტად გავნსაზღვროთ მათი ფუნქციები და ამოცანები, დავეხმაროთ უარი თქვან წვრილმან მეურვეობაზე, გაერთიანებებისა და საწარმოების ოპერატიულ საქმიანობაში ჩარევაზე. ფართო ყურადღება მივაპყროთ სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დიდ, პერსპექტიულ საკითხებს.

9. პლენუმს პრინციპულად მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნია ხელმძღვანელი კადრების საქმიანობაში სოციალური მოწამმართულობის გაძლიერება, მათთვის სოციალური პრობლემებისადმი, როგორც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საქმისადმი, დამოკიდებულების ჩანერგვა. ნებისმიერი ხელმძღვანელის პოლიტიკური და საქმიანი მოწიფულობის უცილობელი კრიტერიუმია იმის უნარი, რომ სწორად წყვეტდეს სოციალურ საკითხებს, ხელშეწყობა პირობებს უქმნიდეს ადამიანთა დიდნაყოფიერ შრომას, მათს ცხოვრებასა და ყოფას, ამკვიდრებდეს კოლექტივებში შემოქმედებითი ძიების ატმოსფეროს.

საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანების ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებასთან, მოქალაქეთა საჭირბოროტო ინტერესების საკითხთა გადაწყვეტასთან უშუალოდ დაკავშირებულ ყველა სფეროში დასაქმებული კადრების საქმიანობას. აქ განსაკუთრებით საჭიროა საქმის კარგი ორგანიზაცია, შეუწყნარებელია უხეშობის, უსულგულობის, ადამიანისადმი უყურადღებობის გამოვლინებანი.

10. გარდაქმნისათვის მუშაობაში პარტია საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ კადრებს ემყარება. პლენუმი იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის შემდგომი გაძლიერება, და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ ძლიერდებოდეს დემოკრატიული საწყისები საბჭოებსა და მათი აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში, რათა უფრო სრულად და ეფექტიანად გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი. უნდა ამაღლდეს საბჭოებში პარტიული ჯგუფების მუშაობის დონე, გაძლიერდეს მათი გავლენა საბჭოთა ორგანოების საქმიანობაზე.

თანამედროვე პირობებში კონკრეტული საწარმოო და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში, შეჯიბრების განვითარებაში, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაში, ადამიანების აღზრდაში უფრო აქტიური პოზიცია უნდა დაიკავონ პროფკავშირულმა კადრებმა. პროფკავშირებში მომუშავე კომუნისტებმა უნდა იღვაწონ, რომ პროფკავშირულ სამუშაოზე ირჩევდნენ ავტორიტეტან, ცხოვრების მცოდნე ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ კონკრეტული საქმის ორგანიზაცია, მშრომელი ადამიანის, კოლექტივის ინტერესების დაცვა.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველდღიურად და კონკრეტულად ხელმძღვანელობდნენ კომკავშირულ ორგანიზაციებს, ამასთან არ დაუშვან მენტორული ტონი, ადმინისტრირება, ყოველნაირად განავითარონ კომკავშირის ინიციატივა, დაეხმარონ მაღალ დონეზე წარმართოს ალმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობასთან, დაუყენებლივ ეხმაურებოდეს ხალხის მოთხოვნილებებს, იყოს სანარგებლო წამოწყებათა თაოსანი შრომაში, სწავლაში და დასვენებაში.

11. პლენუმი მ

ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲛᲝᲕᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ, ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

ᲘᲐᲤᲘ, ᲒᲔᲛᲠᲘᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ერთ-ერთი უმსხვილესი ორგანიზაცია რომ არის საწარმოო გაერთიანება „თბილისრძე“, ეს ჩვენი რესპუბლიკის სავაჭრო დახლებიდანაც კარგად იგრძნობა. მის წილ მოდის რესპუბლიკაში გამოშვებული რძის პროდუქციის თითქმის ორი მესამედი. რძის უნარწყვეულ გადამუშავების უნარჩენო ტექნოლოგიაზე გადასვლის წყალობით აქ ყოველ ტონა გადამუშავებულ რძეზე სასაქონლო პროდუქციის თანხა 324 მანეთს შეადგენს, რაც 90 მანეთით აღემატება ქვეყანაში ანალოგიურ მაჩვენებელს. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა, უნარჩენო ტექნოლოგიაზე გადასვლა, ასორტიმენტის გაფართოება წარმოებას საშუალებას აძლევს დღე-ღამეში 40 სახის 500 ტონა რძის ნაწარმი გამოუშვას.

პროდუქციის ხარისხის განსაზღვრისას მარტო ის რად ღირს, რომ ნადუღის ტექნოლოგიის ლიცენზია იაპონიამ შეიძინა. მუშაობის ასეთ დონეზე მოწყობის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ წარმოება დარგის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებებში წლების მანძილზე იმარჯვებს, ხოლო მეთერთმეტე ხუთწლედის ოთხი წლის შედეგების მიხედვით ოთხჯერ ხვდა წილად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წოდელი დროშა.

წარმატებები იმის შედეგიც არის, რომ მეთაური და დაქვემდებარებული ქარხნები ფართოდ იყენებენ მუშაობის ბრიგადულ ფორმას, იგი აქ 83 პროცენტს აღწევს, ხოლო ბრიგადების 53 პროცენტი სამეურნეო ანგარიშით მუშაობს.

მუშათა სასადილო ᲗᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲑᲐᲜᲘᲐ

ამჯერად ეს კოლექტივი ცდილობს ხელდამშვენებული შეხვდეს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის იუბილეს. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ გაერთიანებამ 15 დეკემბრისთვის შეასრულა მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა და წლის ბოლომდე გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 6,2 მილიონი მანეთის პროდუქცია.

რეზერვების ძიების, მუშაობის თანამედროვე ფორმებზე გადასვლასთან ერთად წარმატების გარანტიას ისიც იძლევა, რომ საწარმოო გაერთიანების ადმინისტრაცია და პროფკომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ შრომითი კოლექტივის სოციალური განვითარების საკითხებს. ამ მიზნით შეიმუშავეს და აამოქმედეს ახალი დებულებები კოლექტივების პრემირების შესახებ, რომელშიც გათვალისწინებულია მატერიალური წახალისების ფონდის საერთო თანხის ოპტიმალური განაწილება, მით უფრო, რომ მიმდინარე წლიდან გადავლენ მეურნეობრიობის ახალ პირობებზე.

დავიწყოთ მუშათა სასადილოთი. 120-ადგილიან ფართო დარბაზში შესვენების საათებში ხალხმრავლობაა. მზარეულები ცდილობენ შეუფერხებლად გასცენ კერძები, რომელთა ასორტიმენტი აქ მრავალფეროვანია. საქარხნო რაიონის საბჭვების საწარმოო გაერთიანების №289 ფილიალის ხელმძღვანელმა გ. კაციტაძემ განაცხადა: ვცდილობთ „სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციაში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირების და მართვის სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად გარდავქმნათ მუშაობა, რაც შეიძლება ფართო ასორტიმენტის სადილები დავამზადოთ. შემოწმების დღის მენიუ ამის ნათელ სურათს იძლეოდა. ამას გარდა მომხმარებლებს თავაზობენ კომპლექსურ სადილებს, რომელთა საერთო ფასი 55-60 კაპიკს არ აღემატება. აქვთ აგრეთვე წვენების, უალკოჰოლო და ცხელი სასმელების კარგი არჩევანი. საზოგადოებრივ კვებაზე საუბრისას უთუოდ ყურადღებას იპყრობს უფასო კვების ორგანიზების საკითხი. მუშები, რომლებიც მძიმე და მავნე სამუშაოს ასრულებენ, უფასოდ იკვებებიან. წლითიწლობით ზრდება დამზმარე მეურნეობის სფერო. ამჯერად 7 ჰექტარზეა გაშენებული ბოსტნეული და ბოჩიული კულტურები. საწარმოო ნარჩენებს იყენებენ მეღორეობის ფერმაში გოჯების გამოსაზრდელად და ამის წყალობით არის, რომ მუშების სადღესასწაულო დღეებში შეღავათიან ფასად ეძლევათ ღორის ხორცი, ბოსტნეული და ბაღჩეული. გაერთიანების ეზოში საგანგებოდ მოწყობილი სასურსათო მაღაზია და ნახევარფაბრიკატების კუთხეა. მუშებს ბაზარში სიაღული და სანოვაგის ძებნა არ უხდებათ, აქვე იძენენ საჭირო პროდუქტებს. მუშათა განკარგულებაშია 180-ადგილიანი სააქტო დარბაზი, ქალთა ჰიგიენის, ფსიქოლოგიური განტვირთვის ოთახები, სტომატოლოგიური კაბინეტი, ქალთა და მამაკაცთა საპარიკმახერო და მომსახურების სხვა ობიექტები.

პერსპექტივაზეც ვიტყვით ორიოდ სიტყვას. მეთორმეტე ხუთწლედში გაერთიანების მეთაური საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია გაშენდეს სპორტული კომპლექსი, საბავშვო ბაღი და სათბურები. ასე რომ, წარმოების ეკონომიკური წარმატებები უშუალოდ უკავშირდება მუშათა მატერიალური და სოციალური პირობების ყოველდღიურ გაუმჯობესებას.

ნ. ᲑᲠᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲓᲐᲛᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲪ ᲗᲣ ᲒᲐᲘᲠᲯᲔᲑᲐ

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის თითოეული ჩვენგანისათვის საარსებო მნიშვნელობის საქმეა. ამიტომაც არავის არა აქვს უფლება განზე იდგეს და არნენად შესაკეროდეს სხვათა ღვწასა და გარჯას. ყველას, დიდსა თუ მცირეს, ქალაქისა თუ სოფლის მკვიდრს, მოეთხოვება შეძლებისდაგვარად შეიტანოს თავისი წვლილი პარტიის მიერ შემუშავებული პროგრამის შესრულებაში. ამ მხრივ ცოტა რამის გაკეთება როდი შეუძლიათ სოფელში თუნდაც შედარებით მცირე ხნით — დასასვენებლად ჩასულ ადამიანებს. სოფლის ხარუნავში ჩაბმა მათ არას გაუჭირვებს, თუ პირიქით არა — შინაარსით აღუსებს ყოველ დღეს და სიხარულს განაცდევინებს. ეს აზრი მას შემდეგ უფრო განმტკიცდა, რაც შარშან ზაფხულში გავეცანი ამბროლაურის რაიონის ერთ-ერთი სოფლის — ხოტევის კოლმეურნეობის ავ-კარგს, იქაურების და დასასვენებლად ჩამოსულთა ურთიერთობას. უპირველესად თვალში მოგხვდებოდათ კოლმეურნეობისა და სოფლის საბჭოს ხელმძღვანელთა (კოლმეურნეობის თავჯდომარე — რ. კობახიძე, მისი მოადგილე — თ. კაციტაძე, სოფლის საბჭოს თავჯდომარე — რ. ავალიანი) მისწრაფება — გარდაქმნან მუშაობა, უკეთ გამოიყენონ უძვირფასესი რეზერვი, რომელსაც ადამიანის ფაქტორს ვუწოდებთ.

სოფლის თავკაცებს თავიანთი კომპეტენტურობით, ერთგული შრომით, თავმდაბლობითა და პატიოსნებით თანამოსაქმეთა დიდი სიყვარული მოუპოვებიათ. ისინი ფიზიკურ შრომას როდი თაკილობენ, აქაოდა, ხელმძღვანელები ვართო. პირიქით, ამ მხრივაც მისაბაძნი არიან, და გასაკვირი არ არის, თუ მათს მაგალითს არა მარტო თანასოფლელები, დამსვენებლებიც მისდევენ. აქაურებს დამსვენებლებიცა და რაიონული ცენტრიდან ჩამოსული მუშა-მოსამსახურეები განსაკუთრებით ერთგულად ამოუდგებიან ხოლმე მხარში პირუტყვის საკვების დამზადების დროს. პარტიის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი, ცხადია, სისტემატიურად აკონტროლებენ მუშაობის მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან სოფელს. კერძოდ, ყეთილად დამახსოვდა ის დღე, როცა სოფლის მშრომელებს შეხვდა და გოლთბილად მოიკითხა როგორც ძველი ნაცნობები პარტიის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა. მდივანს განსაკუთრებით ის აინტერესებდა, შრომასა და ყოფა-ცხოვრებაში რა საკითხების მოგვარებას ეშურებოდნენ ხოტეველები. ამ დროს კოლმეურნეობის წევრთა და დამსვენებელთა უმრავლესობა მთაში თივას ამზადებდა. რაღა თქმა უნდა, იქ იყვნენ კოლმეურნეობის თავჯდომარე, მისი მოადგილე და სასოფლო საბჭოს თავჯდომარეც, რომლებიც ჩვეული შემართებით შრომობდნენ. ხშირად მუშაობა მინდვრად 2-3 საათამდე გრძელდებოდა.

დამსვენებლებიც ჩვეულებრივ ამ დრამდე რჩებოდნენ სამუშაოდ. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჯუმბერ კობახიძე, რომელიც მინდვრად თავისი ცოლშვილით გამოდიოდა. ეს ჯანმაგარი კაცი მოხუც გლეხებს ასვენებდა და მათ მაგივრად თვითონ ტვირთავდა მანქანებს. სხვა დამსვენებლებიც შეძლებისდაგვარად უბამდნენ მხარს მას. რა კარგი იქნებოდა, ზოგ-ზოგნი შორიდან მაცქერალთა როლს რომ არ დასჯერებოდნენ!..

ერთ დღეს, სოფელში ხმა დაირხა, ათიოდე ბავშვი სადღაც გაქრა მთელი დღეა და მათს ასაკალ-დასავალს ვეღარ მიაკვლიესო.

ცხადია, ძნელი დასაჯერებელი იყო ათი ბავშვის ერთად დაკარგვა. ამიტომაც პანიკას არავინ შეუპყრია, მაგრამ გასაოცარი კი მაინც იყო, სად გაქრნენ ასე თვალსა და ხელს შუა. თურმე, ნუ იტყვით, სოფლის დამშრალი წყაროს სათავის საძებნელად წასულიყვნენ...

იმდენი უქნიათ ყმაწვილებს, რომ მიუგნიათ ნაპრალი, რომელიც ჩაედინებოდა და იკარგებოდა წყალი, ამოუღებიათ იგი თიხამიწით და შეუკეთებიათ აუზი. წინასწარ მოუზელიათ თიხამიწა, მიუზიდავთ საკმაოდ დიდი ქვები. გაულესავთ, გაუსწორებიათ მილი და სიხარულისაგან ცეკვა-თამაში გაუჩაღებიათ. დოლის ხმაზე და ყიყინაზე მშობლებმაც მიაკვლიეს მაგრამ შინ მაინც ვერ წაიყვანეს, ვიდრე ბავშვებმა წყაროსთან მიესასვლელი გზაც არ გაწმინდეს. ამის შემდეგ კოლმეურნეობის ბუღალტერმა მათ მასალაც მისცა, და შეუდგნენ ხის ხიმინჯების ჩასმას. დაღლილობისაგან არაჟათი გამოეცალათ, მუშაობას კი თავს მაინც არ ანებებდნენ. მშობლებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ მცირე ხნით წაიყვანათ შინ და დაეპურებინათ. ყმაწვილებმალე ისევ უკან დაბრუნდნენ და წყაროსთან ახლა გრძელი მაგიდა და სკამები გაკეთეს. მოვიდნენ მშობლები, ჩამოჯდნენ სკამებზე. მათ შორის იყო ოთხმოც წელს გადაცილებული კოლმეურნე ქალი ეკატერინე ავალიანი. ეს ხანდაზმული მანდილოსანი ახლაც არავის უდებს ტოლს მუშაობაში, წელწადი ისე არ გავა, ერთ ტონაზე მეტი ხორცი არ ჩაბაროს სახელმწიფოს. ჩამოჯდა სკამზე სხვებთან ერთად ეკატერინე ბებია, ნაჯაფარი ხელებთან დაეყრდნო მაგიდას და მოისურვა იმ ყმაწვილების გაცნობა, ეს კეთილი საქმე რომ გაკეთეს და, როგორ უთხრეს, რომ აქ ბეჯითად იშრომეს ელგუჯა, კობა და ნიკოლოზ გურგენიძეებმა, ბაჩუკა კობახიძემ, ბექა და ზურაბ მელაძეებმა, კახა და პაატა ყრუაშვილებმა, თემურ და ნუკრი ჯაფარიძეებმა, სიყვარულით გადახედა ბავშვებს და გულწრფელად დალოცა ისინი.

აი ასე მოხდა ეს ამბავი: ყმაწვილებმა, რომელთა შორის ყველაზე უფროსი 14 წლისა იყო, თვითონ შექმნეს ბრიგადა, იშრომეს სოფლისათვის და დაიმსახურეს მადლობა. ასე კეთილი გარჯისათვის კი მათ უფროსებმა მაგალითმა უბიძგა. ბავშვები ყველაფერს ამჩნევენ, ისინი ხედავენ, როგორ გაცხოველდა ჩვენში ზრუნვა სოფლის ცხოვრების ასაღორძინებლად, როგორ არ ზოგავენ თავს ამისათვის ყველაზე სახელოვანი და ავტორიტეტულ ადამიანები. განსაკუთრებით დიდი სიკეთე ვოაქვს საოჯახო ოჯახს. მახსოვს, მარტო ერთმა, გივი გორგიზიანის ოჯახმა, აგვისტოს შუა რიცხვებამდე 40 ტონა ბალახი მოთიბა და დაზვინა. ეს ოჯახი დღისით მანქანას ამუშავებს, ხოლო ღამით უკვლის, ასუფთავებს, წესრიგში მოაყენებს, დაზიანების შემთხვევაში არემონტებს კიდეც. ასეთი გამრჯე ადამიანების მადლია, რომ ხოტევის კოლმეურნეობამ დიდძალი საქონლის საკვები დაამზადა, აქ უკვე ორი წლის საზრდო აქვს პირუტყვს, რაც იშვიათად ხდება ხოლმე.

რა სასიამოვნოა იმაზე ფიქრი, რომ სოფლის მოღონიერებაში იქ სტუმრად და დასასვენებლად ჩასულმა ადამიანებმაც შეიტანეს წვლილი. ვგონებ, ეს ამბავი სხვებისთვისაც საგულისხმო უნდა იყოს. განა რა ისეთი საძელოა — თითოეულ დამსვენებელს სულ იოლად შეუძლია გამოიმეშოს 5 კაცდღე მაინც, საერთო ანგარიშით კი ეს რიგიანი დახმარება იქნება სოფლისათვის.

Ა. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ,
საქართველოს სსრ რექტორთა რესპუბლიკური საბჭოს სწავლული მდივანი, დოცენტი.

ᲓᲐᲛᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲪ ᲗᲣ ᲒᲐᲘᲠᲯᲔᲑᲐ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ რადიომ მსმენელთ საშუალება მისცა გასცნობოდნენ საქართველოს კულტურის ისტორიას, მისი კლასიკური პოეზიისა და ხალხური მუსიკის სიბრძნესა და სილამაზეს, თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებას. ლიტერატურისა და ხელოვნების ზეპირი ანთოლოგია შეიძლება ვუწოდოთ სარტის დეპარტამენტის ქალაქ ლევანის რადიოსადგურის „პროგრესის“ მიერ ახლახან გამართულ გადაცემას. გადაცემის ავტორმა და წამყვანმა — „სოფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების მუსიკალური კომისიის წევრმა, მუსიკათმცოდნემ სვეტლანა ელიოტმა თავისი გადაცემის საწყისად „ვეფხისტყაოსანი“ აირჩია. მან ილაპარაკა ამ ნაწარმოებსა და მის ავტორზე, რომელიც უმღერის ისეთ იდეებს, როგორიც არის სიკეთე და სიყვარული, მეგობრობა და ვაჟკაცობა, ერთგულება და თანაგრძნობა, ყოველთვის რომ გვაღელვებს. ფრანგ მსმენელთ საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ ბემის მუსიკალურ ხორცშესხმას — სსრ კავშირის სახალხო არტისტის ალექსი მაჭავარიანის ბალეტის „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტებს. ახალგაზრდა დირიჟორმა ვახტანგ მაჭავარიანმა — ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში სპეტაკლის მუსიკალურმა ხელმძღვანელმა, ზუსტად გადმოსცა ავტორის ჩანაფიქრი, სიმუალება მისცა ფრანგ მსმენელს ჩასწვდომოდა მუსიკის ეპიკურ სიღრმეს.

ეთერში აჟღერდა აგრეთვე საბჭოთა სავიოლინო მუსიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები — ქართველი კომპოზიტორის „კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის“ სახელგანთქმული მევიოლინის ლიანა ისაკაძის შესრულებით, ფრაგმენტები ბალეტიდან „ოტელო“, რომელიც დაიდგა მონტე-კარლოს, ტოკიოს, ბუქარესტის, ჰელსინკის, ბრატისლავის თეატრების სცენებზე, ვაჟა-ფშაველას სიტყვებზე შექმნილი ციკლი „ხუთი მოხოლოგი“.

ორი გადაცემის პროგრამას ამშვენებდა გუნდი ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“, ბალხური სიმღერები, რომლებიც აღაფრთოვანებენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მუსიკის მცოდნეებსა და მსმენელებს. გადაცემის „მუსიკალური ფურცლები“ შეადგინა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ანდრია ბალანჩივაძის „მესამე-ახალგაზრდულმა კონცერტმა“ შესანიშნავი საბჭოთა პიანისტის ლევ ობორინის - ინტერპრეტაციით, ფრაგმენტებმა პირველი ქართული ბალეტიდან „მთების გული“.

ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართული საესტრადო მუსიკაც ანსამბლების „ოვერიისა“ და „ორერას“, მომღერალ თამარ გვერდწითელის შესრულებით.

გადაცემაში გამოყენებული იყო კლასიკური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები — ნიკოლოზ ბარათაშვილის „ცისა ფერს“ და „ჩემს ვარსკვლავს“, რომლებიც ფრანგულ ენაზე ვალსმა, ნაწყვეტები ალექსანდრე დიუმა-მამის მოგონებებიდან 1858 წელს საქართველოში მოგზაურობის შესახებ.

ეს ფრანგ მსმენელთა პირველი შეხვედრა როდია ქართულ კულტურასთან, რომელიც პოპულარულია საფრანგეთში. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲕᲘᲢᲔᲑᲘ

ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘ ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡ

ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲓᲐᲣᲠᲔᲑᲐ

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲘᲐᲗᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობა უცხოეთის პრესის მთავარი თემაა. პლენუმის შესახებ მასალებს გამზეთები აქვეყნებენ სათაურებით: „გარდაქმნისა და საკადრო პოლიტიკის შესახებ“, „სსრ კავშირში გარდაქმნების რევოლუციური ხასიათი“, „დემოკრატიის თანამიმდევრული განვითარება გარდაქმნის განგრძობის გარანტია“. ზოგიერთი გაზეთი აქვეყნებს პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოხსენების სრულ ტექსტს.

„**რევოლუციური** შემობრუნება“ უწოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ფრანგულმა გაზეთმა „ლუმანიტემ“. „მოხსენებაში „გარდაქმნისა და საკადრო პოლიტიკის შესახებ“, წერს გაზეთი, — აღნიშნულია არა მარტო საბჭოთა ხალხის მნიშვნელოვანი მიღწევები, არამედ აქცენტი გადატანილია შეცდომებსა და ხარვეზებზე, წინააღმდეგობებზე საზოგადოების განვითარებაში, გარკვეულ ეტაპზე წინსვლის ტემპის შენელებაზე“.

ინგლისის „მორნინგ სტარი“ აღნიშნავს, რომ პლენუმზე თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა წამოაყენა წინადადება 1988 წელს მოიწვიონ საკავშირო პარტიული კონფერენცია პარტიისა და მოლიანად საზოგადოების ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციის საკითხების განსახილველად. „საბჭოთა ხელმძღვანელმა, — წერს გაზეთი, — ქვეყანაში დემოკრატიის განვითარება დაუკავშირა დიდი ეკონომიკური მიზნების მიღწევას.“

„საბჭოთა ხელმძღვანელის ახალმა ინიციატივებმა, — წერს იაპონური „მაინიჩი“, — საჯაროობა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესის საფუძვლად უნდა აქციონ. მათი განხორციელება შემობრუნების მომენტი გახდება სსრ კავშირის ისტორიაში“. „სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიერ წამოყენებულ გარდაქმნებს, — გამოთქვამს აზრს ტოკიოს „ნიხონ კეიძაი“, — საფუძვლად უდევს ის, რომ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში ცვლილებების გარეშე შეუძლებელია ძირეული ეკონომიკური გარდაქმნების მიღწევა“.

ინდოეთის „**დეკან ჰერალდი**“ აღნიშნავს „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დიდ მნიშვნელობას საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ფართო მასშტაბის კეთილსაყოფიერი გარდაქმნები ყველა სფეროში“.

● ᲐᲨᲨ

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲒᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲘᲗᲒᲝᲗ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. **პრეზიდენტი რეიგანი კონგრესის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე გამოვიდა ყოველწლიური ტრადიციული წერილით „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“.**

რეიგანმა განაცხადა, რომ ჩვენ (ამერიკის შეერთებულ შტატებში — რედ. შენიშვნა) ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ გავაკეთეთ. რათა აღგვედგინა ჩვენი თავდაცვა, კავშირები და ხელმძღვანელი როლი მსოფლიოში. პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირთან „უფრო კონსტრუქციული ურთიერთობის“ დაყარებას. მაგრამ ამას დაურთო მთელი რიგი პირობები, კერძოდ, ის, „რომ საბჭოთა კავშირმა უნდა შეცვალოს ქცევა მთელ მსოფლიოში“. რომ საჭიროა „პროგრესი სხვა დარგებში, მათ შორის ადამიანის უფლებათა პატივისცემის დარგში“. ამავე დროს იგი გამბედაობით დაესახა თავს სსრ კავშირის საგარეო და სამხედო პოლიტიკას, სოციალისტურ წყობილებას.

პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ ესწრაფვის მიაღწიოს „გამლაბული შეიარაღების შემცირებას, და ამავე დროს ქნას ასხამდა „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამას. იგი ამახსოვნებდა რეიკიავიკში უმაღლეს დონეზე გამართული საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების არსს, განაცხადა, თითქოს აქ საბჭოთა მხარე ცდილობდა მხოლოდ „შეერყია ჩვენი სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა“. „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა კვლავაც განხორციელდება“, — თქვა მან.

ნეოგლობალიზმის დოქტრინის სულისკვეთებით პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ნიკარაგუის მიმართ, განაცხადა, რომ აპირებს კვლავაც ყოველმხრივ დაუჭიროს მხარი კონტრრევოლუციონერებს, რომელთა მეშვეობითაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო გამოუცხადებელ ომს ეწევა სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ.

● ᲩᲘᲜᲔᲗᲘ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲥᲢᲘ

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ:

ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲐᲪᲘᲐ

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐᲨᲘ ძლიერდება მშრომელთა გამოსვლები 1974 წლის დემოკრატიული რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვრის — აგრარული რეფორმის დასაცავად. ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრიობა პროტესტს აცხადებს ეროფალი მემამულეებისათვის ამ ექსპროპრიერებული მიწების დაბრუნების წინააღმდეგ, რომლებიც ახლა კოლექტიურ მეურნეობებს ეკუთვნით.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: სამხრეთ პორტუგალიის გლეხთა მანიფესტაცია ლისაბონში.

საკადრისის ფოტო.

ᲙᲠᲔᲡᲐ ᲯᲯᲘᲡᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ

ᲞᲔᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘ ᲩᲥᲐᲠᲝᲑᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო მარტში პრეზიდენტ რეიგანს წარუდგენს რეკომენდაციებს იმის თაობაზე, რომ მომდევნო ხუთ-ოვიდ წელიწადში განლაგონ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ნაწილობრივი სისტემა „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის ფარგლებში, იუწყება გაზეთი „ბოსტონ გლობი“. იმიწმებს რა პენტაგონის წყაროებს, იგი წერს, რომ პენტაგონი ითვალისწინებს ორბიტაზე 1992-1994 წლებში განლაგოს 250 საბრძოლო კოსმოსური სადგური, რომელთაგან თითოეული აღჭურვილი იქნება 10 თვითდამიზნებადი რაკეტით, აგრეთვე დედამიწაზე განლაგონ 100 დამატებითი რაკეტა. დასახული განლაგების ღირებულება იქნება 100-150 მილიარდი დოლარი.

განმარტავს რა პენტაგონის გეგმებს, გაზეთი „ნიუსდეი“ აღნიშნავს: უაინბერგერი ცდილობს მომავალი ადმინისტრაციები მიაჯაჭვოს „ვარსკვლავეთის“ ომების“ პროგრამას, მოსპოს შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში საბჭოთა კავშირთან შეთანხმების დადების შანსები. იმას, რაც უთანხმერგერსა და მის პენტაგონელ მოკავშირეებს სურთ, გამართლება არა აქვს არც სამხედრო, არც ტექნიკური თვალსაზრისით.

ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲓᲔᲚᲘ. **საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოთა ხელსაყრელი კავშირურთიერთობის მაგალითია, განაცხადა ინდოეთის მრეწველობის მინისტრმა ჯ. ვენგალა რამმ. იგი გამოვიდა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის საინვესტიციო ცენტრის დაარსების გამო აქ გამართულ საზეიმო კრებაზე.**

ეს ცენტრი შექმნა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების მიზნით. ინდოეთის საერთაშორისო ცენტრის საფუძველსაწყლოდ მორთულ დარბაზში იყენენ ინდოეთის მთავრობის წევრები, რესპუბლიკის საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ჯ. ვენგალა რამ ხაზგასმით აღნიშნა: ინდოეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ამსწორნანდელმა ოფიციალურმა მეგობრულმა ვიზიტმა ცხადყო, რომ საბჭოთა და ინდოელ ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ინბრძოლონ მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის. ეს ისაზა ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი და უძალადო მსოფლიოს პრინციპების შესახებ დელის დეკლარაციაში — ჰეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტში, აღნიშნა ინდოელმა.

მ. ს. გორბაჩოვისა და რ. განდის მოლაპარაკება ახალ ჰორიზონტებს სახავს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობაში, მათ შორის ეკონომიკის, ვაჭრობისა და მეცნიერების დარგში, ხაზგასმით აღნიშნა კრებაზე ინდოეთის ვაჭრობის სახელმწიფო მინისტრმა პ. რ. დ. მუნშმ. ვიზიტის დროს ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ დადებული დიდი შეთანხმება საშუალებას გვაძლევს თვისებრივი ნაბიჯი გადავდგათ წინ ჩვენი ქვეყნების ხელსაყრელი კავშირურთიერთობის განვითარების გზაზე.

ᲒᲐᲐᲪᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲑᲘᲠᲛᲐᲨᲘ

ᲠᲐᲜᲒᲣᲜᲘ. **სსრ კავშირისა და ბირმის კულტურული გაცვლის პროგრამის რეალიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი გახდა ბირმაში სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის დელეგაციის ვიზიტი, მას მეთაურობდა საქართველოს სსრ სახელმწიფოს თავმჯდომარე ა. რ. სანებლიძე.**

რანგუნში ყოფნის დროს საბჭოთა სტუმრები მიიღო კულტურისა და ინფორმაციის მინისტრმა აუნგ ჯო მინმა, ისინი აგრეთვე შეხვდნენ ეროვნული ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელობას. დელეგაციის წევრები გაეცნენ ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობას, ბირმელ კოლეგებთან ერთად განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის გაფართოების საკითხები. საბჭოთა სპეციალისტებმა მასპინძლებს გააცნეს საბჭოთა რადიოსა და ტელევიზიის სამსახურების მდიდარი გამოცდილება, ესაუბრნენ პარტიის მიერ ხალხის წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტაში მასობრივი ინფორმაციის სამუალებათა როლზე.

● ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ ᲕᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲕᲔᲜᲐ. **აქ შესვენების შემდეგ განახლდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ვენის შეხვედრა.** სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა, ელჩმა ი. ბ. კაშლევმა განაცხადა, რომ დინამიზმი უნდა მიანიჭონ ფორუმის მუშაობას, სრულიად ევროპის პროცესის განვითარების გზაზე შემდგომი ნაბიჯების შეთანხმებას, უარი თქვან კონფრონტაციის პოლიტიკაზე, რომელსაც თავს აცვევენ ამ შეერთებული შტატები და მისი მთელი რიგი მოკავშირეები.

ᲜᲔᲝᲒᲚᲝᲑᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲘᲗᲒᲝᲗ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. **პ

ტოქსიკოლოგთა საზოგადოება: მიზნები და ამოცანები

ტოქსიკოლოგიის დარგში მედიცინის მიღწევათა პროპაგანდა, მათი პრაქტიკაში დანერგვა, სამკურნალო დაწესებულებებისათვის სამეცნიერო-მეთოდიკური და პრაქტიკული დახმარების გაწევა — ეს ამოცანები უნდა გადაწყვიტოს საქართველოში შექმნილმა ტოქსიკოლოგთა რესპუბლიკურმა სამეცნიერო საზოგადოებამ.

ნებაყოფლობითი ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობაში შედიან მედიკოსები, ბიოლოგები, ფარმაცევტები, ქიმიკოსები, სამოც სპეციალისტს აერთიანებს. მათ განსაზღვრეს იმ სამუშაოთა პროგრამა, რომელთა მიზანია საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო გეგმების შესრულება — ამ დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხორციელება, ადამიანების ჯანმრთელობის გაკაჟება და მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების კულტურისა და ხარისხის გაუმჯობესება.

— დღეს, როცა ქვეყნის სახალხო მეურნეობასა და მედიცინაში ჩნდება სულ უფრო მეტი სხვადასხვა ქიმიური და ორგანული პრეპარატი, იზრდება ტოქსიკოლოგთა როლი, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საზოგადოების თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა ვერა ვაშაკიძემ, — ეს, უწინარეს ყოვლისა, არის პრეპარატების „სიწმინდის“ კონტროლი, ანუ ადამიანისა და გარემოსათვის მათი უვნებლობის კონტროლი, აგრეთვე სხვადასხვა სპეციალობის მუშების შრომის პირობების შესწავლა და მათი შესაძლო პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება. საზოგადოების მოვალეობაა განუმარტონ მოსახლეობას ესა თუ ის ჰიგიენური ნორმა. ყველა ამ ღონისძიებამ უნდა შეამციროს პროფესიული, აგრეთვე ალერგიული და სხვა დაავადებების შემთხვევები.

სახელოვნო კალენდარი-87

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გამოსცა 1987 წლის საიუბილეო თარიღების კალენდარი, რომელიც მოამზადეს საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკის და კინოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერმა მუშაკებმა და თანამშრომლებმა; რედაქტორია ალ. შალუტაშვილი, მხატვარი — ზ. კაპანაძე.

მუზეუმი უკვე მესამედ სთავაზობს მკითხველს ასეთი სახის კალენდარს; ცნობარი შეიცავს მოკლე ბიოგრაფიული და შემოქმედებითი ხასიათის მონაცემებს ქართული თეატრის, მუსიკისა და კინოს მოღვაწეებზე, რომლებსაც 1987 წელს საიუბილეო თარიღი ესრულდებათ. აქვეა აგრეთვე მოკლე ცნობები სახელოვნო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე. წლევანდელ კალენდარს ახლავს ფოტოილუსტრაციებიც.

მუზეუმის საკალენდრო-საინფორმაციო მუშაობის საბოლოო მიზანია წლების მანძილზე დაგროვილი დიდძალი ფაქტობრივი მასალის მიხედვით მომზადდეს და გამოიცეს „ქართული ხელოვნების მატიანე“.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

მასპინძლობს სპორტის სასახლე

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში მოეწყობა დიდი სპორტული ზეიმი, რომელიც შარშანდელ სეზონში მოპოვებულ შედეგებს ეძღვნება. აქ შეკრებილნი იხილავენ ჩვენს მოწინავე სპორტსმენებს, იმათ, ვინც შარშან რესპუბლიკა ასახელა. დიდ სპორტულ-თეატრალურ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტის ვეტერანები, მოცეკვავეები, მომღერლები და ეოკალური ანსამბლები.

ხვალ კი თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყება ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. რიგით ამ 26-ე ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის, გდრ-ის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, თურქეთის, უნგრეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხ-ის, აშშ-ს, ფინეთისა და სსრ კავშირის ათლეტები. ტრადიციისამებრ ცალკე იქნება წარმოდგენილი საქართველოს ნაკრები. ამჯერად საქართველოს სპორტსმენთაგან ამ შეჯიბრებაში 22 მოჭიდავე ცდის ძალებს.

აქვე შევნიშნავთ, რომ გუშინ გორში გაიმართა სსრ კავშირისა და აშშ-ს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა, საბჭოთა ნაკრების ღირსებას სხვებთან ერთად იცავდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც.

საგურნირო ორბიტა

ᲰᲐᲓᲠᲐᲯᲘ. იუგოსლავიის ქალაქ იაიცეში დამთავრებულ ქალთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე 12-12 შესაძლებლიდან 7,5-7,5 ქულა დააგროვეს ლენინგრადელმა ირინე ლევიტინამ, უნგრელმა ეუჟა ვერეცი-პეტრონიჰმა და ბიჭვინთელმა ელენე ახმილოვსკაიამ. კოეფიციენტების ცხრილს შესაბამისად პირველი სამი ადგილი მოჭადრაკეებმა სწორედ ასეთი თანმიმდევრობით გაინაწილეს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. რომში გაიმართა ადგილობრივი საკლუბო გუნდის „რომასა“ და სსრ კავშირის ნაკრების ამხანაგური მატჩი. საბჭოთა ფეხბურთელებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა 72-ე წუთზე ევტუშენკომ. ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაევი, ბესონოვი (გოცმანოვი), ჩივაძე, ბალტაჩა (ევტუშენკო), დემიანენკო, კუზნეცოვი, იაკოვენკო, ზავაროვი, რაცი, ლიტოვჩენკო (ალეინიკოვი), ბლოხინი (პროტასოვი).

ᲙᲐᲜᲖᲐᲡ-ᲡᲘᲢᲘᲨᲘ (ᲐᲨᲨ) მინიფეხბურთის წესებით გამართულ მატჩში მოსკოვის „დინამო“ დამარცხდა ადგილობრივ „კომეტსთან“ ანგარიშით 3:11 (2:4).

ᲡᲐᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ბაკურიანში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაზე წარმატებით ისასპარეზეს ვლადიმირელმა ანფისა რეზცოვამ და შუკინსკელმა (ყაზახეთი) ვლადიმერ სმირნოვმა. პირველი უძლიერესი იყო 10 კილომეტრზე, მეორე კი 15 კილომეტრზე რბოლაში.

ᲙᲐᲚᲐᲗᲐᲣᲠᲗᲘ. ესპანეთის ქალაქ ბადალონაში გაიმართა თასების მფლობელთა თასის გათამაშების დასკვნითი კალენდარული მატჩი მეოთხედფინალურ ჯგუფში. ერთმანეთს შეხვდნენ ცსკას და ესპანეთის „ხუვენტუდის“ ვაჟთა გუნდები. არმიელებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 106:92 და თავიანთ ჯგუფში პირველი ადგილი მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე გამართული 6 მატჩიდან ცსკამ 5 მოიგო. ნახევარფინალში ცსკას მეტოქე იქნება იტალიის „სკავოლინი“. ამ გუნდების შეხვედრები გაიმართება 17 და 24 თებერვალს. მეორე ნახევარფინალური წყვილია იუგოსლავიის „ციბონა“ და საფრანგეთის „ვილერბანი“. ამ შეჯიბრების ფინალური მატჩი გაიმართება 17 მარტს იუგოსლავიის ქალაქ ნოვი-სადში.

რედაქტორი
გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საგამოფენო დარბაზებში



პირველი პერსონალური

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მხატვართა სახლში ფერწერის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ პერსონალური გამოფენით წარდგა მხატვარი შოთა ჩლაიძე. 150-ზე მეტი ფერტილო გამოიტანა მან ფართო სამსჯავროზე. მათ შორის არის ქართველი და რუსი მოღვაწეების პორტრეტები, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის პეიზაჟები.

ყურადღებას იქცევს ფრონტალური მრავალპერსონაჟიანი ფერტილო „მოსკოვის უნივერსიტეტის დამაარსებლები“. ეს ნაწარმოები ხელოვანს მიუძღვნია რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული წარსულისათვის, მათი საერთო ღვაწლისათვის მეგნიერების დარგში, კერძოდ, მიხეილ ლომონოსოვისა და ვახუშტი ბაგრატიონის ერთობლივი წვლილისათვის მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

ნაწარმოების ცენტრშია ლომონოსოვი. მას ხელში უჭირავს უნივერსიტეტის შემდგომი განვითარების გეგმა, მის გვერდით გრაგნილით ხელში დგას ვახუშტი ბაგრატიონი. ეს ნაწარმოები ახალგაზრდა ხელოვნის სადიპლომო შრომაა, რომელსაც მაღალი შეფასება მიეცა არა მარტო როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, არამედ როგორც რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის მატიანის კიდევ ერთ საინტერესო ფურცელს.

Ლ. ᲜᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: შ. ჩლაიძის ტილო „მოსკოვის უნივერსიტეტის დამაარსებლები“.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 6.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 6.30 — „ერემია“. 9.05 — აშკარა — დაუჯერებელი. 10.07 — მხატვრული ფილმი „კაპიტნის ქალიშვილი“. 11.40 და 17.00 — ახალი ამბები. 17.15 — „მოწყალების სამსახურის სადგი დღეები“. მესამე ნაწილი. 17.45 — როგორ შეფობს გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებს. 18.20 — კონცერტი. 18.40 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 19.25 — ფოტოკონკურსი „მამული, საყვარელო“. 19.30 — სახმილება მოქმედებს. 21.10 — რომანსები ა. ს. პუშკინის ლექსებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ლიტერატურული ალმანახი. 24.00 კალათბურთი. მადრიდის „რეალი“ — „ჟალგირისი“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.35 და 10.35 — გვეცნობა გარემო სამყაროს. I კლასი. 9.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.05 და 14.50 — ესპანური ენა. 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ისტორია. 11.35 და 12.40 — ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. IX კლასი. 12.05 — 5. გრიბაჩოვის პიესა. 13.10 — ბლოკადა. მეორე ნაწილის პირველი ფილმი. 15.20 — მოსწავლეებს ფიზიოლოგიისა და პიგიენის შესახებ. 15.55 — დეკაბრისტთა ცოლები. 19.00 — მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძური. ფ. მენდელსონ-ბარტოლდის სიმღერები. 19.45 — პოკეი. 21.15 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.30 — რიტმული ტანვარჯიში. 22.00 — „ერემია“. 22.40 — „ბლოკადა“. მეორე ნაწილის მეორე ფილმი. 23.45 — ახალი ამბები.

ᲛᲔᲠᲫᲘ

29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ერემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დოკუმენტური ფილმი „ჩრდილოეთ მაგნიტკის კომუნისტები“. 10.35 — „რამდენიმე შეხვედრა ნინო ანანიაშვილთან“. შეხვედრა პირველი — ჩაიკოვსკის ბალეტი „გედის ტბა“. 12.50 — დოკუმენტური ფილმი „10 წუთი სარი ტურალიევის შესახებ“. 13.00 — ტელეკურსელეთათვის. ბიოლოგია. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — მოსწავლეთათვის. „თეატრი და ბავშვები“. 17.40 — სპორტული გადაცემა. 18.15 — განცხადებები. 18.20 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მომმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“. 18.50 — „საქართველოს პროფკავშირის ყრილობიდან ყრილობამდე“. 19.30 — სახელმწიფო მიღება მოქმედებს (მ.). 21.00 — მოამბე. 21.40 — ახალგაზრდობისათვის. „ეკითხულობთ გალაკტიონ ს“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ინონმსახიობის თეატრის სპექტაკლი „წუთისოფელი ასეა...“

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ

29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

მეორე პროგრამა. 16.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფოთის ექსპერიმენტი“. 17.10 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია. 17.55 — კინონარკვევი „ამურისპირა ქალაქი“. 18.05 — მასწავლებლის საათი. რუსული ენა.

ᲛᲔᲠᲫᲘ

29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ფალავანდიშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ევგენი ონეგინი (მე-18 აბონ. მე-5 წარმოდგენა); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ასის წლის წინათ; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მეტეხის ჩრდილში; მინიატურების სახელმწიფო — პიკმანი ხეზე ანუ ბესარიონის თავგადასავალი; მეტეხის — პარტახი, უბედურება; მოზარდ მაყურებელთა ქართული — გამოცდა (აბონ. № 36, საღამოს); ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — „თოვლის ბებოს ზღაპარი“. ანსამბლი „ოვერია“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომელი, 1943 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, ომისა და შრომის ვეტერანი

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲐᲛᲑᲠᲝᲡᲘᲡ ᲫᲔ ᲭᲘᲠᲘᲜᲐ

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ᲜᲐᲮᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲘᲒᲘᲐᲗ? ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲬᲠᲘᲚᲘ

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1987 წლის პირველი გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1987 წლის 25-26 იანვარს ქ. თბილისში. ტირაჟში გათამაშდა 360.000 მანეთის 184 ნივთმოგება და 199.816 ფულადი მოგება. მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
00020	201 *)	20 მანეთი	—
00028	260 *)	20 მანეთი	—
00039	072 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00059	096 *)	20 მანეთი	—
00067	066 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00088	143 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00091	428 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00093	170 *)	20 მანეთი	—
00097	121 *)	40 მანეთი	—
00114	209 *)	20 მანეთი	—
00123	280 *)	20 მანეთი	—
00131	414 *)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
00138	452 *)	20 მანეთი	—
00146	276 *)	20 მანეთი	—
00149	260 *)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
00154	161 *)	ავტომან. „ვოლგა“ გაზ-24	16400—00
00167	479 *)	მაგნიტორადიოლა „ევრიკა“	250—00
00168	046 *)	20 მანეთი	—
00176	115 *)	20 მანეთი	—
00199	486 *)	40 მანეთი	—
00211	054 *)	30 მანეთი	—
00241	300 *)	25 მანეთი	—
00248	1—500	15 მანეთი	—
00260	132 *)	20 მანეთი	—
00266	478 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00271	444 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00273	057 *)	20 მანეთი	—
00288	059 *)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
00293	057 *)	40 მანეთი	—
00297	010 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00310	151 *)	მტვერსასრუტი	37—00
00320	361 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00333	181 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00337	454 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00341	328 *)	მტვერსასრუტი	37—00
00351	157 *)	40 მანეთი	—
00354	004 *)	40 მანეთი	—
00368	319 *)	20 მანეთი	—
00370	449 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00379	228 *)	30 მანეთი	—
00385	184 *)	მტვერსასრუტი	37—00
00388	162 *)	40 მანეთი	—
00393	171 *)	ელექტროხორსაკეპი	25—00
00397	158 *)	500 მანეთი	—
00406	348 *)	20 მანეთი	—
00424	379 *)	20 მანეთი	—
00426	014 *)	ავტომან. „ჟიგული“—21063	9000—00
00434	160 *)	40 მანეთი	—
00436	319 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00439	175 *)	20 მანეთი	—
00446	388 *)	მაცივარი „ზილი“	370—00
00448	490 *)	მაცივარი „ზილი“	370—00
00454	303 *)	მაცივარი „მინსკი“	430—00
00458	198 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00469	247 *)	მაცივარი „მინსკი“	430—00
00491	056 *)	50 მანეთი	—
00500	298 *)	20 მანეთი	—
00504	488 *)	20 მანეთი	—
00509	410 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00514	481 *)	20 მანეთი	—
00522	222 *)	მაცივარი „ზილი“	370—00
00536	040 *)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
00545	115 *)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
00565	266 *)	მაგნიტორადიოლა „ევრიკა“	250—00
00581	021 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00584	492 *)	40 მანეთი	—
00585	487 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00592	366 *)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
00596	290 *)	მტვერსასრუტი	37—00
00627	054 *)	25 მანეთი	—
00630	272 *)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
00640	295 *)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
00672	391 *)	40 მანეთი	—
00674	173 *)	20 მანეთი	—
00684	113 *)	30 მანეთი	—
00705	145 *)	მტვერსასრუტი	37—00
00746	330 *)	20 მანეთი	—
00748	285 *)	20 მანეთი	—
00769	083 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00781	293 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00806	146 *)	20 მანეთი	—
00819	256 *)	40 მანეთი	—
00822	408 *)	25 მანეთი	—
00842	363 *)	მტვერსასრუტი	37—00
00845	266 *)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
00883	117 *)	მტვერსასრუტი	37—00
00902	196 *)	70 მანეთი	—
00911	030 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00913	417 *)	40 მანეთი	—
00914	298 *)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
00917	087 *)	25 მანეთი	—
00942	157 *))	20 მანეთი	—
00956	064 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00959	303 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00965	348 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00978	175 *)	მაცივარი „ზილი“	370—00
00980	009 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
00981	200 *)	მტვერსასრუტი	37—00
00987	102 *)	ხალიჩა	510—00
00996	369 *)	30 მანეთი	—
00999	150 *)	50 მანეთი	—
01019	264 *)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
01031	072 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01048	184 *)	40 მანეთი	—
01049	334 *)	40 მანეთი	—
01050	447 *)	20 მანეთი	—
01065	084 *)	20 მანეთი	—
01068	368 *)	მაცივარი „ზილი“	370—00
01084	233 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01091	336 *)	20 მანეთი	—
01096	206 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01098	122 *)	40 მანეთი	—
01141	265 *)	100 მანეთი	—
01155	482 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01156	217 *)	25 მანეთი	—
01170	343 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01172	399 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01176	057 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01177	474 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01178	071 *)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
01185	310 *)	30 მანეთი	—
01194	018 *)	40 მანეთი	—
01205	178 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01214	166 *)	40 მანეთი	—
01224	369 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01225	114 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01232	376 *)	40 მანეთი	—
01254	423 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01264	162 *)	ავტომან. „ჟიგული“—21063	9000—00
01268	847 *)	20 მანეთი	—
01279	430 *)	50 მანეთი	—
01285	383 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01286	108 *)	მაცივარი „ზილი“	370—00
01310	157 *)	30 მანეთი	—
01315	054 *)	მტვერსასრუტი	37—00
01321	049 *)	მტვერსასრუტი	37—00
01332	453 *)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
01333	317 *)	20 მანეთი	—
01335	229 *)	20 მანეთი	—
01374	266 *)	20 მანეთი	—
01375	471 *)	20 მანეთი	—
01392	265 *)	მაცივარი „ზილი“	370—00
01406	024 *)	20 მანეთი	—
01411	241 *)	500 მანეთი	—
01428	019 *)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
01429	172 *)	25 მანეთი	—
01435	138 *)	40 მანეთი	—
01443	211 *)	20 მანეთი	—
01449	288 *)	20 მანეთი	—
01479	123 *)	30 მანეთი	—
01498	469 *)	30 მანეთი	—
01509	010 *)	30 მანეთი	—
01517	073 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01523	166 *)	მაცივარი „ზილი“	370—00
01526	289 *)	20 მანეთი	—
01532	227 *)	20 მანეთი	—
01542	396 *)	20 მანეთი	—
01546	073 *)	მაცივარი „მინსკი“	430—00
01565	324 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01571	224 *)	მაცივარი „ზილი“	370—00
01613	248 *)	20 მანეთი	—
01619	421 *)	20 მანეთი	—
01621	362 *)	ავტომან. „ჟიგული“—21063	9000—00
01642	268 *)	40 მანეთი	—
01663	232 *)	მტვერსასრუტი	37—00
01665	394 *)	20 მანეთი	—
01674	025 *)	40 მანეთი	—
01675	049 *)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
01684	260 *)	ავტომან. „ჟიგული“—21063	9000—00
01701	102 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01709	083 *)	20 მანეთი	—
01710	293 *)	20 მანეთი	—
01723	257 *)	მტვერსასრუტი	37—00
01730	205 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01754	332 *)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
01761	255 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01762	193 *)	30 მანეთი	—
01784	067 *)	25 მანეთი	—
01788	279 *)	20 მანეთი	—
01795	109 *)	40 მანეთი	—
01798	022 *)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
01799	277 *)	30 მანეთი	—
01824	384 *)	მტვერსასრუტი	37—00
01835	048 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01837	026 *)	ავტომან. „ჟიგული“—2108	8400—00
01857	105 *)	40 მანეთი	—
01863	091 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01906	445 *)	20 მანეთი	—
01914	424 *)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
01920	066 *)	20 მანეთი	—
01928	425 *)	20 მანეთი	—
01935	029 *)	30 მანეთი	—
01949	178 *)	40 მანეთი	—
01951	064 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
01993	061 *)	40 მანეთი	—
01994	010 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02013	271 *)	20 მანეთი	—
02021	442 *)	30 მანეთი	—
02025	089 *)	20 მანეთი	—
02059	039 *)	მაგნიტორადიოლა „ევრიკა“	250—00
02068	028 *)	40 მანეთი	—
02074	252 *)	30 მანეთი	—
02077	456 *)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
02080	309 *)	20 მანეთი	—
02093	084 *)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
02119	029 *)	120 მანეთი	—
02126	422 *)	40 მანეთი	—
02146	428 *)	20 მანეთი	—
02205	467 *)	500 მანეთი	—
02220	351 *)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
02221	397 *)	40 მანეთი	—
02223	110 *)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
02242	178 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02247	017 *)	20 მანეთი	—
02253	046 *)	20 მანეთი	—
02260	181 *	20 მანეთი	—
02282	101 *)	20 მანეთი	—
02286	428 *)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
02299	111 *)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
02312	016 *)	მაგნიტორადიოლა „ევრიკა“	250—00
02322	821 *)	120 მანეთი	—
02327	436 *)	ავტომან. „ჟიგული“—2108	8400—00
02332	113 *)	20 მანეთი	—
02339	303 *)	20 მანეთი	—
02340	294 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02348	037 *	20 მანეთი	—
02351	203 *)	30 მანეთი	—
02352	054 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02359	232 *)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
02365	261 *)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
02368	141 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02372	350 *)	იმპორტ. ავეჯის გარნიტური	2125—00
02386	368 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02391	214 *)	40 მანეთი	—
02399	214 *)	მტვერსასრუტი	37—00
02403	109 *)	20 მანეთი	—
02413	197 *)	40 მანეთი	—
02437	354 *)	მტვერსასრუტი	37—00
02442	316 *)	25 მანეთი	—
02443	096 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02448	145 *)	40 მანეთი	—
02462	330 *)	120 მანეთი	—
02482	374 *)	იმპორტ. ავეჯის გარნიტური	2125—00
02488	297 *)	40 მანეთი	—
02504	215 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02524	145 *)	20 მანეთი	—
02529	395 *)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
02542	405 *)	20 მანეთი	—
02545	185 *)	40 მანეთი	—
02550	170 *)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
02572	453 *)	40 მანეთი	—
02582	014 *)	ავტომან. „ჟიგული“—21013	7300—00
02586	308 *)	ავტომან. „ჟიგული“—21063	9000—00
02591	437 *)	20 მანეთი	—
02595	227 *)	ავტომან. „ჟიგული“—21013	7300—00
02597	378 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02630	399 *)	40 მანეთი	—
02632	064 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02637	177 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02646	474 *)	25 მანეთი	—
02654	081 *)	მაცივარი „მინსკი“	430—00
02697	457 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02699	287 *)	40 მანეთი	—
02707	217 *)	40 მანეთი	—
02713	087 *)	20 მანეთი	—
02726	160 *)	40 მანეთი	—
02729	320 *)	25 მანეთი	—
02749	183 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02763	266 *)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
02764	006 *)	20 მანეთი	—
02770	117 *	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02772	099 *)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
02779	313 *)	20 მანეთი	—
02787	333 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02799	142 *)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
02832	262 *)	20 მანეთი	—
02854